სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 34

2019 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N13 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 10 აპრილის სამსახურებრივი ბარათის (N414786) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 10 აპრილის N34 ბრძანებით

2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

I ლოტი - მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტი საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MG-TG-19-2852	მეტეოროლოგიური პარამეტრების დამოკიდებულება გეომაგნიტურ ქარიშხლებზე საქართველოში	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო

II ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MG-ISE-19-235	მიკრობები და ვირუსები: ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება, გამოყენება	ფონდი-საქართველოში ბაქტერიოფაგიის განვითარების ასოციაცია	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
2	MG-ISE-19-1076	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო